საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-10/120

ქ. ბათუმი 09 ოქტომბერი, 2019 წ

,,ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადის, საბიუჯეტო კლასიფიკაციისა და გასაწევი ხარჯების ზღვრული ოდენობების განსაზღვრის თაობაზე" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 16 აპრილის №01-11/51 ბრძანებაში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-56-ე, 63-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე, 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე–15 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის N02 გადაწყვეტილების, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილების წამყვანი სპეციალისტის გოჩა სურგულაძის 2019 წლის 04 ოქტომბრის N1305951 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადის, საბიუჯეტო კლასიფიკაციისა და გასაწევი ხარჯების ზღვრული ოდენობების განსაზღვრის თაობაზე" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 16 აპრილის №01-11/51 ბრძანებაში შევიდეს დამატება, კერძოდ, ბრძანების №1 დანართში მე-7 პუნქტის შემდგომ დაემატოს მე-8 და მე-9 პუნქტები:

   ,,8. პროექტში ტრენერის, ექსპერტის და/ან სხვა პირის მოწვევის საჭიროების შემთხვევაში საპროექტო განაცხადთან ერთად, აგრეთვე წარმოდგენილი უნდა იქნას მოსაწვევი პირის CV-ი და პროექტში მონაწილეობის შესახებ მისი თანხმობის წერილი.

   9. დაფინანსებული პროექტის ავტორმა, გეგმა-გრაფიკითა და ბიუჯეტით გათვალისწინებული აქტივობის განხორციელების ვადების ცვლილებასთან დაკავშირებით, 10 სამუშაო დღით ადრე, კანცელარიული წესით უნდა მიმართოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. ამ ვადის დარღვევის შემთხვევაში ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უფლებამოსილია შეაჩეროს პროექტი და გამოსცეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი."

2. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და იურიდიულ დეპარტამენტს.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

4. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ა. მითაიშვილი